კვირა, 9 აგვისტო. ფასი 10 კაპ.



# მათრახი

## და სალამური

№ 9

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



სევერიანე მოსეს ძე ჯუღელი
(მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი)
1874—1909 წ.

### სევერიანე მოსეს ძე ჯუღელი.

გასწყდა სიცოცხლის ძაფი... შესწყდა მომავლის იმედებით აძგერებულ გულის დაგა დუგი... დადუმდა აღგზნებულ სიტყვების მფრქვევი ბაგე... ულმობელმა სიკვდილმა თვისი კლიტე დაადვა მას... სევერიანე მოკვდა... გუშინ ის ცოცხალი იყო... გუშინ მისი მიბნედილი თვალები დაღვრემილი შეყურებდენ მეტეხის ცივ კედლებს... მისი გული კიდევ ფეთქდა... გუშინ ის კიდევ აზროვნობდა, კიდევ ფიქრობდა, ფიქრობდა სიცოცხლეზე... მომავალზე... ეხლა ის აღარ არის... აღარაფერს აღარ გრძნობს... ის მოკვდა... მისი ჩაფითრებული ბაგე, ცეცხლის მფრქვევი თვალები, გონიერი შუბლი, უგრძნობელი შეიქნა, სამუდამოთ გაცივდა... ის მოკვდა...

1874 წელს პატარა სევერიანემ სოფელ ჩხარში იხილა ეს ქვეყანა. იქ გაატარა თავისი უზრუნველი ბავშვობა. იქ მიიღო პირველ დაწყებითი სწავლა და შემდეგ გადავიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ის როგორც ნიჭიერი ბავშვი ყველა მოწაფეებისგან განირჩეოდა. 1891 წელს მან პირველ მოწაფეთ დაასრულა სასულიერო სასწავლებელი და შევიდა თფილისის სასულიერო სემენარიაში. აქედან იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. მიუხედავათ იმისა, რომ ამ დროს სემინარიაში სასტიკი რეჟიმი იყო, მოწაფეებმა მაინც მოახერხეს და გამოსცეს ქართული ჟურნალი. სევერიანე ამ ჟურნალის სულის ჩამდგმელი შეიქნა. მის გონიერ წერილებს არა ერთ და ორ მოწაფისთვის გაუხელია თვალები. ხშირათ თვალწინ წარმომიდგება ის სურათი, როცა სევერიანეს ძალათ კათედრაზე გავიყვანდით და ვსტკბებოდით მისი ლექსის კითხვით... 1893 წელს სემენარიაში მოხდა არეულობა.. სევერიანე სხვებთან ერთათ გააძევეს სემინარიიდან, როგორც „ბუნტის“ მოთავე. ამ დღიდან ის სავსებით ჩაება საერთო ფერხულში. ცოტა ხნის სოფელში ყოფნის შემდეგ მან დაიწყო თანამშრომლობა გაზეთ „ივერია“-ში შემდეგ თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელში“ და „კვალში“. ამავე დროს ის მთელი თავის ძალღონით ჩაება მუშათა მოძრაობაში. 1895 წელს, როცა ჯერ კიდევ თფილისში მუშათა მოძრაობა ახალი ხილი იყო, სევერიანე, მის განუყრელ მეგობარ ლადო კეცხოველთან ერთათ, თავდავიწყებამდე გატაცებით ეწევა ამ საქმეს. 1902 წელს ის დაიჭირეს და ექვსი თვის ციხეში ყოფნის შემდეგ სოფელში გაგზავნეს, პოლიციის მხედველობის ქვეშ. აქედან ის ქუთაისში გადასახლდა და ძველებური ენერგიით განაგრძობდა თვის საყვარელ საქმეს. 1903 წელს ის დაიჭირეს და სამი წლით ციმბირში გადაასახლეს. იქ დაყო წელიწადი და რვა თვე, რის შემდეგ მანიფესტის ძალით ნება მისცეს დაბრუნების.

1905 წელს ის დაბრუნდა თფილისში. აქაც რამდენჯერმე იქნა დატუსაღებული. 1905 წლიდან

ის თანამშრომლობდა გაზეთ „სხივში“ „ლამპარში“, „განთიადში“ და სხვა. სწერდა „ნემეზიდაშვილი“-ს და „ვალენტინი“-ს ფსევდონიმით. 1907 წელს ის აირჩიეს თფილისის გუბერნიიდან მეორე დუმის დეპუტატათ. დუმის დათხოვის შემდეგ მან თავს უშველა და იმ ლებოდა. ამ წლის მაისში ის დააპატიმრეს აწ უკვე დახურულ გაზეთ „ჩვენი აზრი“-ს რედაქციაში და მეტეხის ციხეში ჩასვეს. როგორც გამოირკვა ის თურმე სხვისი პასპორტით სცხოვრობდა. პოლიციას მასზე ეჭვი შეეპარა და ისიც ბოლოს იძულებული შეიქნა გამოტეხილიყო. ამ დღეებში განზრახული იყო მისი პეტერბურგში გაგზავნა, მაგრამ სიკვდილმა უფრო ადრე გადასჭრა ეს საკითხი. სიბრალო სევერიანეს დაუძლურებულმა აგებულებამ ველარ აიტანა ციხის რეჟიმი, სამ აგვისტოს ის ავათ გახდა და 6 აგვისტოს უკვე განუტევა ტანჯული სული. მისი უკანასკნელი ტანჯვის მოწამე იყვენ მხოლოდ ციხის მდუმარე კედლები. ის მოკვდა უპატრონოთ, მარტოთ. მის გახურებულ შუბლს მშობლებ-მეგობრების ხელი არ მიკარებია და სიმწრის ოფლი არ მოუწმენდია.

მოკვდი მეგობარო, მარა შენი ღვთაებრივი სახე სამარადისოთ აღბეჭდილია, ჩვენ, შენი მეგობრების გულში. შენ არ დაგივიწყებთ, სანამ გული გვიფეთქს.

**ირეთელი.**



# „ქანტურ-ფილოსოფია“.

„ოცნება სიჭაბუკისა

ანუ

**ფილოსოფოსის ლექსები.“**

„ბავშვობიდანვე გრძნობდა ჩემი სულიერი მდგომარეობა რაღაცა საშიშარ სულიერ შიმშილს“ო, ამბობს წინასიტყვაობაში ავტორი „ფილოსოფიური“ ლექსებისა კ. გ. ქანტურაია და საჭიროა დავუმატოთ, რომ ამბობს ამას რუსულათ და არა ქართულათ.

მაგრამ:

„საუცხოვო მრავალფეროვნობამ ბუნებისა, ფართე ამწვანებულობა სიშორეამ ადამიანთა წარმოდგენისა, მოულოდნელმა დამარცხებამ ჩვენთა სურვილთა, დროებითმა გამარჯვებამ სიტუტუცისა, სიყალბისა და პირმოთნეობისა ჭეშმარიტებასა ზედა, მუდმივმა ცვალებადობამ არ ყოფნისა მიმიყვანა, იმ ღრმა რწმენამდე, რომ საჭიროა ცხოვრების შესწავლა“.

მაგრამ:

„მიუხედავათ ცხოვრების სინამდვილეზე ჩემი სასტიკი შეხედულებისა, როდესაც ფილოსოფიაში ჩავყურყუმალავდები, წამსვე მიპყრობს რაღაც ღვთაებრივი ცახცახი და ყელზე მადგება სანეტარო გრძნობა და ნათელი მსოფლიჭვრეტელობა ეხვევა რა ოცნებათა ქსელში, უნებურათ ესხმება პოეტურ ფორმებში“.

მაგრამ:

რასაკვირველია რუსულ ფილოსოფიურში და არა ქართულ ფორმებში. უნდა მოგახსენოთ ბატონებო, რომ ქართველებს არა გვყავს ორი-სამიოდეს მეტი ფილოსოფოსი და „პოეტ-ფილოსოფოსი“ ხომ ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი ამოგვიბრწყინდა სამშობლო ცის დასავლეთ ჰორიზონტზე.

ჩვენი შეხედულობით, საქმე „ფილოსოფიურ“ აზროვნებაში, ანუ აზრებშია და არა იმაში, თუ ვის როგორ მოებჯინება ყელში ეს აზრი, როგორ ფორმაში გამოეხვევა, ან რა ენაზე დაიწერება.

საქმე აზრია!!!

ყოველი მამულიშვილი უნდა ცდილობდეს, აღნიშნოს ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ამბები და მეც ერთ ამგვარ ღირს აღსანიშნავ რამე მიმაჩნია ჩვენს ქვეყანაში „პოეტ-ფილოსოფოსის“ აღმოჩენა. რადგანაც საქართველო ჯერ მთლად არ გარუსებულა, ვინაიდან მოიპოვებიან ჩვენს ქვეყანაში, არა თუ ფილოსოფიურის, არამედ უბრალო რუსულის უცოდინარი პირნი, მეც „მომადგა ყელზე“ უზომო სურვილი გავუზიარო მათ კ. გ. ქანტურაიას ფილოსოფიური ლექსები.

**სიყვარულის ფილოსოფია**

(ლექსი პირველი)

მიყვარს მე ტანჯვა მთელი ქვეყნის,
ხალხთა გუგუნი და მღელვარება,
უსრულებელი კანკალებანი
ყინის ქარიშხალთ გადმოვარდნისა.
მიყვარს ბუჩქების ჩუმი შრიალი,
ნაპირთა ზედა მჩქეფარ რუისა
სადა ხანგრძლივი ხართა ბღავილი,
დგრის სევდას ქვეყნის არსებობისა.
მიყვარს ქუხილი ზღვისა ხეთქების
როს ტალღა მირბის უკან ტალღისა,
ხვარხვალობს, ცელქობს და თან დრიალებს
როგორც ყრუ ხმაი ძველი სიმისა“.

და სხვა... ეგზომ ფილოსოფიური, ღრმა და ყოველმხრივი. ჩვენ რასაკვირველია არ ვიცით ეს „სი-

ყვარულის ფილოსოფია“ პირველათ მოადგა ყელზე პოეტს თუ წინეთაც ადგებოდა მსგავსი მისი, მაგრამ მის „ფილოსოფოსის ლექსთა“ კრებულში ამ ნაწარმოებს პირველი ადგილი უჭირავს.

იმედია, რაკი პირველი ფილოსოფიური ლექსის მნიშვნელობა და ღრმა აზრი გაიგეთ, რომელიც ასე მკაფიოთ გამოიხატება „ხართა ხანგრძლივ ბლავილში“, არ დაიზარებთ, სხვებიც მოისმინოთ.

**ცხოვრებისადმი.**

(ლექსი მეორე)

„გხედავ, რომ ბედი მშვენიერების
არის ამ ქვეყნად ტანჯვა-წამება,
სად გაუმაძღარ თრთოლვა-სურვილთა
ანთებს ყინს მარად ცხოვრების ბრძოლა“.
სად უკეთესი ცისავარსკვლავი
ქრება უკვალოთ, სხივ გაუშლელათ;
სად პირველ დღეთა შემოქმედება
განწირულია დასავიწყებლათ,
ვით დავივიწყეთ გმირთა სახელნი,
რომელნიც ერთ დროს ცხოვლად ყვაროდენ,
ტრფობისა ალში იხრუკებოდენ,
რაც ,,ნახადურათ“ ჩვენც განვიცადეთ‘‘.

პირველი ლექსის გადმოწერისთანავე ვიფიქრე: შეიძლება თარგმანი დამიწუნონ მეთქი და თუ ჩემი ეჭვი მართალია, გთხოვთ ორიგინალთან შეასწოროთ. მთარგმნელთა შორის არა ვრაცხ ჩემ თავს და ცოტა უსწორ-მასწორობას იმედია მაპატიებთ, მით უმეტეს, რომ ფილოსოფიური რამეა სათარგმნი. ჩემის აზრით ბ-ნ რობაქიძეს ყველაზე უკეთ შეუძლია ასეთი რამის გადმოთარგმნა, მაგრამ ის თარგმნაზე რათ შეიწუხებს თავს, როცა ორიგინალურსაც დასწერს მაგვარს ამისა.

**ძალა სიყვარულისა.**

(ლექსი მესამე)

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ლექსს არ აწერია კერძოთ, ფილოსოფიურია თუ არა, მაგრამ შინაარსიდან ცხადათ დარწმუნდებით, რომ ის წმინდა „კანტურ-ფილოსოფიური“ რამეა.

გითხრა თუ არა, რომ სული ჩემი
ფარულად რითი დაიტანჯება,
თუ რა იზრდება შიგ მეტის-მეტათ
და ღამით პირზე რა მომადგება?
მუჟდუგუნსა მცემს ყინა ძლიერი,
სულსა მიხრაკავს ადელგებულსა,
დე, სიყვარულში დავლიო ტანჯვა,
და ბედით ვგრძნობდე თავს კმაყოფილსა!
სული კი ჩემი ტალღაა ზღვისა,
გული უფრო სცემს გამაღებული,
მთელი სამყარო და მთელი მხარე
რაა შენს ტრფობას შედარებული?

მცირე გაფრთხილება მკითხველთადმი ურიგოთ არ მიმაჩნია. საქმე იმაშია, რომ პირველ წაკითხვაზე „კანტურ-ფილოსოფიური“ ლექსები უბრალო რამე გეგონებათ, მაგრამ საჭიროა ღრმათ ჩაუფიქრდეთ, რომ გაითვალისწინოთ მთელი მისი ძლიერება და ფილოსოფიური აზრი.

**ნ—ნასადმი.**

(ლექსი მერვე)

სხივო ჩემისა ოცნებისაო,
სურვილთა ჩემთა ტალღავ დამწველო,
მიზეზო ჩემის აღელვებისა,
და ჩემო მწარედ მაწამებელო.
გამიკეთე მე გულისკან გული,
შემიყვარე მე, იცხოვრე ჩემთან,
მომეცი სიტყვა, რომ შევერთდებით,
რომ მე მექნება ცხოვრება შენთან.

ეს ლექსი თუმცა სულ ორი ტაეპისაგან შესდგება, მაგრამ ღრმა ფილოსოფიური აზროვნება თვალსაჩინო სიცხადით გამოსჭვივის მუნითგან. ამაზე ითქმის ,,კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე გადმოსდინდებისო“. რუსული პოეზია ღარიბია „ტრფობის‘‘ ლექსებით და კანტურაიას ნაწარმოებს იმედია ჯეროვანი ყურადღება მიექცევა.

**ლამაზისადმი**

(ლექსი მეათე)

თქვენ დაბადებულხართ სათუთ ტრფობისთვის,
აღერსისათვის და სადამისა,
სისხლთა მდუღარეთ ასაღელვებლათ
აღსატყინებლათ ცეცხლთა გულისა;
ბუნებამ მოგცათ თქვენ წმინდა ძალა,
თქვენ ატომი ხართ სამყაროისა,
თქვენ მან შეგამკოთ, დაგასაჩუქრათ
სიმშვენიერით უკვდავებისა.
თქვენ მიზეზი ხართ მისწრაფებათა
და სურვილების დაუშრეტისა,
ვით ოკეანე უძირ-უფსკერო
თდეს მუნ გემი დამტვრევისა‘‘.

ცხადია, ჩვენი ფილოსოფოსი არ გაგვიმტყუნებს, თუ ზოგიერთ მის ნაწარმოებს სრულიად გამოვსტოვებთ და ზოგიერთსაც მხოლოდ ალაგ-ალაგ ამოვიღებთ.

**სულის კითხვები.**

(ლექსი მეთერთმეტე)

,,ნეტავი რისთვის ვცხოვრობ მე,
ტანჯვებით რისთვის ვიტანჯვი?‘‘

აი მაგალითად, აქ ფილოსოფოსის რუსულ პოეზიას არავითარი ქართული რითმა არ მიუდგა და მეც ამის გამო ორი კუპლეტი გამოვტოვე.

ქვევით კი ასეა:

,,რისთვის მიყვარს მე რხევა ბუნების,
ღამით, ძაღლების ყეფა დარაჯთა
მწუხარე მთვარის მკრთალი ნათელი
და გრძელ ყივილი სოფლის მამლთა?''

აბა ვინ გაიგებს ყველა ამ ფილოსოფიურ სიყვარულს ,,ძაღლის ყეფისა'' და ,,მამალთა ყივილისას'', თუ არ ზეგარდმოლახებული არსი, ანუ ,,ხეთქილი გენიალობა'' ჩვენებური ფილოსოფოსებისა.

**ფილოსოფია სარწმუნოებისა.**

(ლექსი მეჩვიდმეტე და უკანასკნელა)

ამ ლექსიშ, რომელიც მიწერილია ვიღაც ვ. სადმი, გამოთქმულია ერთობ და ერთობ ღრმა აზრები, მაგრამ უაღრესი მნიშვნელობა აქვს ბოლო ტაეპს, რომელსაც ვიღებ რუსულ-ქართულის კილოთი. ეს იმიტომ, რომ წმინდა ქართულმა შეიძლება ცოტად თუ ბევრად დაამახინჯოს მისი ღრმა აზრი.

„მაგრამ მითხარით: რათ დავიბადე,
რისთვის მიხმობენ მე „ჩელავეკს“?
რაა მიზეზი მსოფლიო ყოფნის,
რისთვის მისდევენ „ვეკები ვეკს“?
აი სად გხედავ მე საიდუმლოს!
აი რა მინდა ავხსნა-განვმარტო,
ეს არის ჩემი მუდმივი საქმე
ამაზე უნდა ვიფიქრო მარტო.“

ღმერთმა ხელი მოუმართოს, მკითხველო!

**ეშმაკი.**



**ორიოდე სიტყვა.**

—

განათლებულ ქვეყნის კაცი,
მჭევრ-მეტყველი, ორატორი
და უმაღლეს განსწავლული
ინჟინერი, პროფესორი,
ქველ-მოქმედი, ლიბერალი,
ერთიც არ ჰყავს თანასწორი;
დღეს მუშების ოფლს მიირთმევს,
არ გეგონოთ სიტყვა ჭორი.
ერთიც ვინმე ნაროდნიკის
ძე ბრძანდება ესეც კიდე:
თუმცა მეტად ყურ მძიმეა,
ყურში უნდა ჩაჰყვირიდე.
დიდი საქმის გამგე არის,
გირჩევ მას არ აუხირდე...
მასაც უყვარს მუშის ოფლი,
რამდენიც გსურს მიუხიდე!
უკაცრავად, დამავიწყდა
საქმის ზედამხედველები,
სისხლით წმინდა ბრძანდებიან,
ენატკბილი—მეტყველები.
თვალ აშკარად შეეტყობა,
რასაც იქმენ ეს მელები,
მათაც უყვართ მუშის ოფლში,
მონამზადი საქმელები.
ერთის სიტყვით ქეიფობენ,
მუშის ზურგზე ცეკვენ, ხტიან.
არ ფიქრობენ: „ჩვენ გავძეხით,
მაგრამ იქნებ ამათ შიან“?!
ეს თუ ვინმემ შეამჩნია:
მაშინათვე თვალებს სთხრიან
და თუ დასძრა კრინტი ვინმემ,
ენას ძირში დააჭრიან
ვაჰ თუ თავი შეგაწყინოთ,
თორემ გეტყვით კიდევ რამეს
და სახელებს ჩამოვთვლიდი
ვინაც მუშის ოფლი სჭამეს.
ამასთანავე მოსამართლეს,
მოჩივარსა და მოწამეს,
სად შეექცნენ სადილ-ვახშამს,
სად ილხინეს, რომელ ღამეს.
ვინაიდან ქვეყანაზე
სამართალი ვერსად ვნახე,
სადაც შეველ სულ ყოველგან,
წინ დამიხვდა ქრთამის მახე,
გულმა ველარ აიტანა
ამოდენა სივაგლახე,
და ამისთვის კალმის წვერით
ორიოდე სიტყვა ვჩმახე.

ა. განჯის-კარელი.

# დეპეშები.

**ახალსენაკი**. ახლო მომავალში შესდგება მღვდელთა კრება, დრამა ფულის მობოჭვის შესახებ. საჭიროა კრებაზე ეშმაკის დასწრება.

ავტომობილ-დელჟანთა ბრძოლა, პირველის დამარცხებით გათავდა. გამარჯვებულნი შურს იძიებენ იმ პასაჟირებზე, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ავტომობილებს. შურის-ძიებას ისიც უადვილებს მეეტლეებს რომ არც ერთს ნომერი არა აქვს და რიცხვით სამოცამდე არიან.

**ფოთი**. ამბობენ: „სიძემა და ცოლის-ძმამა მდევი ყურით დაასო“. ახლაც გიმნაზიის მასწავ-

ლებელი „ჯან-ბიქი“ ცოლის ძმა „ინ-ბიქისა“ თფილისისაკენ გაემართა. ამბობენ დურმიშხანული მიაქვს სამოსწავლო ოლქის მზრუნველთანო; ზოგი იმასაც ამბობს ეს დურმიშხანულის დამატებააო. საქმე იაგულოვის „გასაგულავებლათ“ სწარმოებსო.

**ს. განჯა.** შესახებ სამკითხველოისა მოსახურებმა დაადგინეს: 1) არავითარი დახმარება არ აღმოუჩინონ ამ მაენე დაწესებულებას. 2) ეთხოვოს ვისაც ჯერ არს: დაუყონებლივ გაიღოს უმიზეზოთ დაკეტილი ბილიარდ-სანარდო საკარტოები. 3) ეთხოვოს მემამულე ფორერს არაყზე ფასის დაკლება.

**ქუთაისი**. როგორც იყო სადგურის მოსამსახურეებს გაუღიმა ბედმა და იქვე, პირდაპირ, პავლე ბრეგვაძის სარდაფში გაიხსნა სამკითხველო, სადაც თავისუფალ დროს ატარებს სადგურის მუშათა უმეტესობა. ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობა შეიძლება როგორც „Распивочно“ აგრეთვე „на вынось.“

**ფოთი** ძლიერი სიცხეების გამო ხეტყის ქარხნის მუშებმა კარტის სათამაშო დროებით პარკში მოაწყვეს. წევრათ ჩაწერის მსურველთ მიიღებენ კანტორაში ბარნაბ ბზიავასთან.

მექარხნე მოისრაფეშვილი ერთობ კარგს გუნებაზეა, რადგან ახალი მუშები კარტის მოთამაშენი აღმოჩნდენ; ამასთან ერთად გაზეთსა და აბანოს ფულს არ თხოულობენ.

---

## მოხსენება სამტრედიიდან.

მივიღე რა თქვენი ლოცვა კურთხევა და ჩავიბარე სამტრედიის რაიონი, ვეცდები წარმოუდგინო თქვენს უეშმაკეულესობას მსჯავრის დასადებათ სადღეისო ქირ-ვარამი ჩვენი. ჩემს სიმოქმედო და სარევიზიო ასპარეზათ, პირველ ყოვლისა, სადგური გავიხადე. უნდა მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას, რომ საქმეები მეტათ აწეწილ-დაწეწილია. ბოროტი ენები ამის უმთავრეს მიზეზათ ასახელებენ ჩვენს გამოჩენილი ახალგაზრდა კასირ-დრამატურგს ვასო გოგიავას და მის ამყოლ—დამყოლებს. ჩემმა მიუდგომელმა რევიზიამ კი შემდეგი გამოარკვია: საქონლის გადაგზავნის დროს მათ მიერ გადაიმასქნილ ქანქარს საქველ-მოქმედო მიზანი ქონია. ეს არის ის აუარაბელი ხარჯები, რომელიც გამოუწვევია დრამატურგი ვასოს მიერ მოხდენილ „დრამას“.

სადგურის შემდეგ დეპოს რევიზიას შევუდექი. მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა დიდი უმრავლესობის მოთხოვნაა 9 საათის სამუშაოს მაგიერ 8 შემოღება, რადგან თავისუფალი დრო, მათის აზრით, არა კმარა სანარდ-საკარტ-საწითელღვინოთ. მემანქანე ხარიტონ ურუშაძესა და მის თანაშემწეს შორის მომხდარ ინციდენტის შესახებ, რომლის დროსაც მემანქანემ ეგრეთ წოდებული „ქეზლი“ დაარტყა თანაშემწეს, უნდა მოგახსენო, რომ საქმეს ძლიერ ცუდი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან საქმეში 100 ქანქარი გაერია.

აქედან გავწიე პირდაპირ ბაზრის დეპუტატებთან და სანიტარულ კომისიასთან. მათი საწინაღმდეგო არაფერი შემიძლია მოვახსენო თქვენს უეშმაკეულესობას, რადგან მეტის საქმეებისგან დასაძინებლადაც აღარ სცალიათ. ზედმეტი მუშაობა გამოუწვევია რუსეთის ზოგიერთ დიდ ქალაქებში გავრცელებულ ხოლერას. ხოლერის თავიდან ასაცილებლათ შემდეგი განკარგულებაა სისრულეში მოყვანილი: არხები, რომელშიაც მდ. ცხენის წყლის შტო მოდიოდა შეჩერებულია. ახალი სანოვაგის გაყიდვა სასტიკათ აკრძალულია, აკრძალულია აგრეთვე ქალაქის დაგვა, რადგან მეცნიერულათ დაამტკიცეს, რომ ხოლერა სიბინძურეში ინახავს თავს, ზევით არ გამოჩნდება და მცხოვრებთ არავითარ ზიანს არ მოუტანსო.

სოფლათ რევიზია სასწავლებლებში დავიწყე. პირველათ **საჭილაოს** ერთ კლასთან სამინისტრო სკოლის მასწავლებელ ირიკლი ჩიგოგიძეს ვესტუმრე. მასთან დამიხვდა ცნობილი სულიერი მამა მელიტონ ქვანია, ორივენი ძალზე „მაიარულნი“ იატაკზე ეყარენ. წინ 10 წლის ჟურნალ გაზეთები ეწყოთ. ირაკლი ყვიროდა: „აჰა თუ ჟურნალ გაზეთებს აღარ ვკითხულობ... მოდით... ნახეთო...ო“.

მე მართლა არ მჯეროდა რომ ირაკლი ოდესმე გაზეთს წაიკითხავდა, მაგრამ მოვტყუვდი. ის თურმე, არა თუ სიფხიზლეში, მაშინაც კითხულობს, როცა „ბახუსის“ გავლენის ქვეშ იმყოფება. დანარჩენ სკოლების რევიზიის ანგარიშს შემდეგ მოხსენებაში წარმოუდგენ თქვენს უეშმაკეულესობას. მანამდე კი გთხოვთ ზემო აღნიშნულ პირთა „საქმენი საგმირონი“ ღირსეულათ დააჯილდოოთ.

ჭროვანკაცელი ეშმაკი.






(წარმოთქმული ქ. ოზურგეთში ერთი მუნიციპალისტის მიერ)

დიდათ პატივცემულნო, ქალბატონებო და ბატონებო!

ყველამ კარგათ უნდა იცოდეთ, რომ ადამიანი, რომელიც ჯანმრთელია, მეტს ცოცხლობს; ვინც მეტს ცოცხლობს, ის გვიან კვდება. ქალაქი ყველაფრით მოწამლულია. ეიღეთ მაგალითათ სოფლელი: ის ჭამს ტყემალს, ტარანას, კეჟერას, ეკალას, (ანუ ძიგურას) მარა მაინც ჯანმრთელია. რეიზა მერე? იმიზა, რომ უკაცრავათ მოხსენებაა. . . . . . . . ახლა ეიღეთ გოროდის მცხოვრები. ის ყველაფერს ჭამს: ბორში, კატლეტი, ჟარკოი, მაროჟნი, პირაჟკი, სუპი, სუპში ჩაყრიან ყორიფელს, მისდგება მერე წყლის ჩამურის ხელა კოზით და ისხამს ხარხაში, გეიბერება მუცელზე და აბლოყინებს. ქალაქელი ფიქრობს, რომ თუ დალია კახური ღვინო, პივო, ოტკა, რომი, კონიაკი, კვასი, კეფირი, კუმისი, ამით ძალიან ჯანმრთელი იქნება, მარა ვერ მივართვი! იგინი, ბატონებო, ბუშტს უბერავს და მეტი აფერი. სოფლელი ხმელა ქადზე დააყოლებს საცივის წყალს, მარა ქეა მაინც კარგათ—ამიზაა, რომ სოფელში აფთიაქი ძვირია, ერთი ერთმანეთზე, რვაი ვერსით მაინცაა მოცილებული და იმასაც არ ყავს მუშტარი; თუ ყავს, იგიც ქალაქში დაავათყოფებული, ქალაქში კი რვა ვერსზე რვა აფთიაქი მაინცაა და წამლის კეთებას კი ვერ უვა. სოფლელი ზაფხულში სადაჩოთ არსათ არ მივა, ქალაქელი თუ დაჩაზე არ წევიდა, ქე მოკტება. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი და ჩემ მიერ ნათქვამი ცხადათ ამტკიცებს, რომ ჩვენ თუ გვინდა ჯანმრთელი ვიყოთ, უპირველეს ყოვლისა უნდა გამევიწეროთ ჰაერი, ჰაერი და კიდომ ჰაერი. **პიტნა.**

---

## შ ა რ ა დ ა.

გაფრთხილებთ: ესე შარადა
ადვილი ასახსნელია;
გაუძნელდება მხოლოთ მას,
აზრი ვის შემოელია.
**პირველი** სიტყვა დროს ნიშნავს,
წელიწადისა ნაწილსა,
მზე შორე გვიდგას იმ ხანად,
თუმც სხივებს გვაფრქვევს მახვილსა
აი, ამ სახელ წოდებას
მოვწყვეტავთ პირველ მარცვალსა
და ორი, ჩვენთვის საჭირო,
კიდევ დარჩება საწყალსა.
**მეორე** სიტყვა ხშირ-ხშირად
სიგრძესთან იხსენიება
და ჭკუის ძალა თუ გიჭრით
ბევრი არ უნდა ძიება.
მოაბით პირველს მეორე
და ჩაიკითხეთ წყნარათა,
სიტყვა გამოვა ნაცნობი
დღეს ხშირი მოსახმარათა,
კაცთა ზედმეტი სახელი
ცხოველთა მისადარათა,
რეაქციის დროს გამრავლდა
თავს არ გრძნობს დასაფარადა.
ხშირად ფერს იცვლის ტიალი
ქამელეონის გვარათა,
უყვარს „პილატეს ცრემლები"
რო ჩასდიოდეს ღვარათა;
ვინაც ამ დრომდე ვერ ახსნა,
არ ღირს ერთ ცალ გროშ ფარადა,

**კოლო.**

---

## გურული სცენა.

(აფთეკის ეზოში ფერშლის მოლოდინში სხედან ქალები და მუსაიფობენ).

— დილა მშვიდობის ბატონებო! მადლობა ღმერთს, მე ჩემი თავი მეგონა მარტვათ გაჭივრებული, თურმე ბევრი აფხანიკი მყოლია.

— თქვენ რას იტკივებ ჩემო დაო!

— ჩემ გაჭივრებას, ჩემო დაო, ენა-პირი ვერ მოსთქვამს. ენიდგან გამოთქმული ყორიფელი მტკივა, დილას რაცხას ქე გავაჭყეტ თვალს, მარა მერე რომ შემომაფრინდება, მთელ ნახხამს დეიარს, ძაღლის ლეკვსავით მაიმას მიჰობა: ხან შემაცივებს, ხან შემაბუჟებს, ხან შემაქიზებს, მერე გამაკვარკვალებს, ისე მაგრათ, ისე მაგრათ რომ, ხომ ასე დალეული და დასუსტებული ვარ, კალმახსავით მახტუნებს, სამი კაი მოწიფული ბიჭი ვერ დამამაგრებს; მერე გამახურებს, გამადანდარებს, მომცემს ალაოს, ნაკვერჩხალსავით მევიქცევი; შუბლზე დადებულ ქიაფერაის ფურცელს ერთ მინუთში ისე მუაქცევ, ასე იტყვი ამ ფურცელში კვერი გამოუცხვიანო; მერე მომცემს ოფლს, მარა რაფერ ოფლს, ოფლი კი არა, ზღვაი გეგონება; ჩამავდებს ბურანში, კვტარი და ცოცხალი, ყველაი დამესევა—რა ვქნა, არ ვიცი, რა მეშველება, ბაღნებს პირში ლუკმა ამოვართვი, გავამწარე სწორეფ; კაცი გომართელი არ მინახავს, თვარა აგი ჟამის გა-

საწყვეტი დოხტური არცერთი არ მომიკლია, აფთიაქი გავამდიდრე, მარა მაინც არ დამადგა საშველ-სახიდებელი, აი გაჭივრებული სული მაინც არ ამევიდა, დეილოცა ღვთის განგება, რას უკავია, რომ არ ვიცი? ან რა შევცოდე ამის ფასი იმ დალოცვილს, რომ არც სიკვტილის ღირსი გამხადა და არც სიცოცხლის!

— მაინც რაიო, რა დაათქვეს დოხტურებმა· შენს სატკივარს?

— რა ვიცი, რა არ დაათქვეს—მათი ამოგდება, დაფსება, ერთმა თქვა დამპალი ცივება გაქო, მორემ თქვა დამპალი ხურებაო, მესამემ თქვა, დალუპავს ღმერთი რაცხა საშინელი სახელი, „მორალი“ გჭირსო, რამდენი სხვაი და სხვა ვნახე, იმდენი სხვაი და სხვაი სახელი დაათქვეს და იმდენი სხვაი და სხვაი რეცი მომცეს (ყურში უჩურჩულებს) შენგან არ გამიმჟღავნდება და მარჩიელსაც კი ვაკითხვიე, თვალყვის გამოვალოცვიე და უქმურის წამალიც კი გავაკეთებიე მატას, მატაურმა გაასცხებია სული, მარა მე არც იგი წამადგა, არც ხუცის თავზე შემონარები და საეტლოს წირვა. ახლა ვითამ კანს ქვეშ გაკეთება მირჩიეს, ერთს ამასაც ვცდი და თუ აგიც არ წამადგა, მერე თავის მოსაკლავი სხვაი თუ ვეფერი ვიშონე, ერთ ლინწკულას რავა ვერ ვიშონი.

— ჯვარი გწერია, რა გჭირს ოჯო სასიკვტილო, შენ კი არა იმისანები მორჩა, სასტუმალი რომ ქონდა გაშლილი.

— ჩემი დაიე, ნუ დამიმალავ, რაფერია აგი კანს ქვეშ გაკეთება, ნამეტარი მემწვავება თუ იცი? სულ აღარ ვარ ქალი, ისე მეშინია.

— შენ არ მომიკტე იმისაგან უფრო, ვინცხას ტყულათაი შეუშინებიხარ; მე ორმოცი ლეფსი მქონდა გამოწერილი და ორის მეტი ყველა გევიკეთე, მარა აფერი არ შემიტყვია, ამასაც კი გეტყვი, ზოგს მიზეზიანი ხორცი აქ, გუუმიზეზდება. ასეა, ყველაი რავაც ერთი სახის არ არის, არც ერთი ხორცისაა. მაინც ააშენა ღმერთმა აი ჩვენი ფერშალი, რომ რაცხა ტკპილი ხელი აქ.

— ერთი აგიც მიბრძანე შენი ლამაზი პირით, ბევრს ხომ არ ითხევინება, თუ გუუძლებს კაცი, ფარას წინ ახოულობს თუ მერე.

— ზოგს ბევრს ახთიებს და ზოგს პაწეს, ზოგი უცკულოც კია, იგიც კაცია, ვაჭარი კი არა, ისე ფარის ნდობაც კი იცის—ზოგი უწინ აძლევს და ზოგი მერე.

**პიტნა.**

---

# უიარაღო ავაზაკი·

(ნამდვილი შემთხვევა)

I

ჯაბულო თავისი დუქნის წინ იჯდა. ძველ მომაღლო ტაბურეტკაზე, რომლის ფეხებს მეტი სიმაგრისთვის ორის მხრით აქედილი ჰქონდა იაშიკის ფიცრის ნამტვრევები, დაზვავებულიყო ჯაბულოს მაღალი, განიერი და ჩასუქებული არსება. ამასთან ის იმდენათ უშნო და ულაზათო იყო, რომ, მიუხედავათ ასეთი მსგავსების უცნაურობისა, მის დანახვაზე უეჭველათ ბალღინჯო მოგაგონდებოდათ და მართლაც, ჯაბულოს მსუქანი, ჩაგლურჯული პირისახის რაღაც თავისებური სიწითლით კრიალი, იმისი ტანის უდიერი სიპრტყე, რომელიც სიარულის დროს მეტისმეტად თვალსაჩინო ხდებოდა, თვალები, ტუჩების მოყვანილობა, ცხოვრების პირობები, ყველა ესენი, უფრო ბეჯითი დაკვირვების შემდეგ, ცხადათ ამართლებდენ ასეთი მსგავსების ბუნებრივობას. თავისი უდიერი ლეშისთვის რომ მეტი მოსვენება და სიამოვნება ეგრძნობინებია, ჯაბულოს ფეხი ფეხზე გადაედო, იდაყვით დუქნის წინ მდგომარე, ფეხებ მორყეულ მოგრძო მაგიდას დაყრდნობოდა და ოცნებას მისცემოდა. იმის სახეს რაღაც არა სასიამოვნო გამომეტყველება მიეღო. ასეთი იყო ჯაბულო ყოველთვის, როცა მის „ხაფანგს“ მუშტარი აკლდა. სამაგიეროთ უნდა გენახათ ის **მაშინ**, როცა მის დუქანში ბლომათ იყრიდა თავს „საბდღვნელი“ მასალა, როგორც ის ეძახდა გამვლელ მუშტარს. (ჯაბულოს დუქანი გზის პირად იდგა და ამიტომ უმეტესად გამვლელ-გამომვლელი ხალხის ჯიბით საზრდოობდა).

— „მობრძანდით, ბატონო! დაბრძანდით! რას მიბრძანებთ? რამდენს, ან რამდენისას ინებებთ? და სხ.“..

აი, როგორის სიტყვებით ეგებებოდა ის მუშტარს! ამ სიტყვებთან ერთად მთელი იმისი უზარმაზარი აგებულება იკუმშებოდა, რაღაც რბილდებოდა და, ახლად დაქონილი ღვედივით, ათასნაირად იკეცებოდა. გულუბრყვილო მუშტარზე ჰიპნოტიზმივით მოქმედებდა მისი ასეთი ქცევა.

— „შენ, ჩემო ჯაბულო, თფილისში, გოლოვინსკზე უნდა გქონდეს პერვოკლასნი ბუფეტი, თორემ აქ წასახდენი კაცი არა ხარ“, გულმტკივნეულად და თანაც ავტორიტეტულად შენიშნა ერთხელ ერთმა „იმისმა ბრწყინვალებამ“. თავის თავზე ასეთი აზრი ჯაბულოს არა ერთხელ მოესმინა, მაგრამ „მისი ბრწყინვალების“ სიტყვამ იმდენათ იმოქმედა ჯაბულოს ვიწრო თავმოყვარეობაზე, რომ კინაღამ გაბრიყვდა და კნიაზისაგან ნახარჯის ფუ-

ლი კინაღამ არ აიღო. საბედნიეროთ კნიაზი მედუქნეზე უფრო ჭიუტი აღმოჩნდა და ეს მათ შორის ხანმოკლე შეპატიჟება იმით გათავდა, რომ ჯაბულომ ფული აიღო. გამოწოდებული „ხუთიანი“ მან კნიაზს სამი ღრმა თავმდაბლა დაკვრით ჩამოართვა, მჯიღში მაგრათ ჩაჰმუჭნა და რამდენიმე გროში, რომელიც კნიაზისთვის უნდა გაებრუნებინა ანგარიშით, შეინარჩუნა. მცირე ხნის შემდეგ კი, როცა კნიაზი დუქნიდგან კაი მანძილზე გაშორებული იქნებოდა, ჯაბულო იდგა თავისი დუქნის დახლში და სახე წამოყვინჩილებული კვეხნით მოუთხრობდა მაყურებელთ, თუ ამ ორიოდე წუთით წინ რამდენი შეაფცქვნა „მათ ბრწყინვალებას“. თან იმის სახელზე ყოვლად შეუსაბამოთ იგინებოდა. მაყურებლებ შორის ბევრს შეეზიზღა ჯაბულოს ასეთი ცინიზმი, მაგრამ სიტყვით უკმაყოფილების გამოცხადებას კი ვერავინ უბედავდა, რადგან სოფელში თითქმის ყველას ეშინოდა თუ ერიდებოდა ამ „უიარაღო ავაზაკისა“, როგორც მას მეტ სახელად ეძახდენ. თითქმის ყველა მუშტართან ასეთი იყო ის: რბილი, ენა მოქნილი და თავის დამცირებამდე თავმდაბალი. მისი ასეთი ქცევით რეტდასხმული მუშტარი ხშირად მიმართავდა ხოლმე: „ხაზეინ, ერთი ჭიქა შენთვისაც დაიდგი!“.. და ჯაბულოც ბევრს არ აცდევინებდა, ფიცხლავ წამოჰკრავდა ხელს არაყით, ან ღვინით სავსე ჭურჭელს, თავის სტაქანს მუშტრის სტაქანს მიაჯახებდა და შეუხმატკბილებდა: „გაამოს, ჩემო ბატონო! იცოცხლეთ, თქვენი ჭირიმე! ღმერთმა კეთილი მოგცეთ, წყალობა და ბედნიერება არ მოგაკლოთ!.. ამბობდა და თან მთელი თავისი სხეულით მოძრაობდა, ცმუკავდა, თითქო ის მარტო სხვისი პატივისცემისთვის არის გაჩენილიო... ამავე დროს კი იმისი სტომაქი ბლომათ მოითხოვდა სხვა და სხვა მაგარსა და სევდის გამქარვებელ სითხეს.

დღეს ჯაბულოს დუქანს არაჩვეულებრივი მოსვენება ეტყობა. მუშტარი ნაკლებათაა. ამის გამო ჯაბულოსაც მოწყენილობა ემჩნევა; ის ერთობ არასასიამოვნო ფიქრებშია ჩაფლული. იქ... მდინარის მეორე მხარეზე ზურმუხტისფრად გაშლილ, მობიბინე ჭალაში ჩიტები საამურად ჭიკჭიკობენ. გაზაფხულია. გარშემო ყველგან და ყველაფერში სიცოცხლე ჰფეთქს. ჯაბულო კი მწარედ ოცნებობს. ბუნების მეჯლიშთან მას საერთო არაფერი აქვს. იმისი აზრი მხოლოთ ბრჭყვიალა ლითონისა და ფერადი ქაღალდების გარშემო ტრიალებს და ფიქრებით შორს, შორს გატაცებულს, თვალწინ, სიზმარივით, შემდეგი სურათი ეხატება: ვითომც, მართლა, ზოგიერთთა შენიშვნისა არ იყოს, ჯაბულო თავისი სავაჭროიანა ერთ დიდ ქალაქში არის. მასთან შემოდის აფიცრობა, გენერლობა, ჩინოვნიკობა, მდიდრულათ მორთ.ულ-მოკაზმული ხალხი. ამათ წინაშე იგრიხებ-იკეცება ჯაბულო, გრძნეული ღიმილით თვალებში აჩერდება, სუფთა ლანგარზე დალაგებული სუფთა ჭურჭელი მიაქვს და მოაქვს... ასე დილიდგან—საღამომდის ტრიალებს, ტრიალებს მოუსვენრად და.. ჯილდოსაც იღებს! ბრჭყვიალა ლითონს, მწვანე, ლურჯ, წითელ თუ სხვა და სხვა ფერის ქაღალდებს!.. „ოჰ, იგენს კი ვენაცვალე მე!!!“ უცბათ შესძახა ამ ფიქრებით გატაცებულმა ჯაბულომ, აწეული ხელი მოიმარჯვა და მოკუმშულ მჯიღს მაგიდაზე ლაწანი მოადებინა. მაგრამ თავისი ასეთი გატაცებისა შერცხვა, ფიქრებისაგან გამოერკვა, წამოდგა, ტაბურეტკა გულის შემზარავი ჭრიალით მაგიდას ქვეშ ფეხით შეაჩოჩა და დუქნის წინ იქით-აქით სიარული იწყო...

(დასასრული იქნება)

**ნ. ზომლეთელი.**

* * *

წყაროვ, ნეტავ შენ, მარადის
რომ გაგაქვს ქვებზე ჩხრიალი,
და მზის სხივებზე ბრწყინავხარ,
იცვლება მისი ტრიალი.
კიდე—ნაპირი კეკლუცათ
გიქარგავს, შეგიმისია,
მოგირგავს ზამბახ-შროშანა,
სუმბული, ვარდი და ია.
იქით და აქეთ ბუჩქები
შენს ლხენას გადმოყურებენ,
და ყოველ დილას ცვარს თითქოს
ცრემლებათ დაგაპკურებენ.
ძირი გაქვს ფერად კენჭებით
მონაქარგი და ნაგები,
მომჯადოვები გულისა,
ბუნებრივობით ნაქები.
ბულბული შენსას შენატრის
ჩუხჩუხს და ხტუნვა·დენასა,
და ფერად ჰანგზე გიმღერის
თვით ნებას აძლევს ენასა.
ნეტავ შენ, ვერ გრძნობ ლხენის მეტს,
ტანჯვა არ იცი, თუ რაა!
მხოლოდ, ვინც იცნობს ქვეყანას
მისთვის ცხოვრება სულ სხვაა.
თავისუფლების მებრძოლებს
ციხე-საკანებს უჩენენ,
ბოროტს კი ფეხ-ქვეშ ვარდს, იას
ფიანდაზათა უფენენ.

შევნატრი შენსას, ანკარავ,
თავისუფლებით დენასა...
საზღვარი არ აქვს არა დროს
შენს წანწკარ-ხტუნვა-ლხენასა.

პ. ბუაძე.



**მესტვირული.**

(ძველ-სენაკის ბანკის, პარკის მყიდველ გამგეობის
და მის ხელქვეითების საგულისხმოთ).

აჰა, პირველ გამოვედი
ასპარეზზე ჩემო სტვირო,
მსურს დავუკრა საზანდარი
იმისი ხმით გაგაკვირო.
მოქცევა და მორჩილება
აღარ მექნეს მე უპირო,
ორგულები გავაწყინო
ვაცრემლო და ავატირო.
შენს ღიღინთან, ჩემი სიტყვაც
არ მსურს იმათ დაუძვირო,
და ამგვარათ ჩემი წირვა
დროიანათ გამოვწირო.
თუ გამიგეს გაწყრებიან,
საქმე მიქნან სათაკ ლო,
მაგრამ სტვირზე ითამაშონ
მეც შეუწყო იმათ კილო.

აბა უნდა აგიწეროთ
ჩვენი ზუბრთა ბანკის სკოლა,
ამ ბოლო დროს ვინც „იგამგა"
ცოტა ყველამ შეაყოლა,
სწავლა დაბლა ჩამოუშვა
მოინდომეს ტყვილა წოლა,
დღემდე სხვაფრივ ღიღინებდენ
დღეს დაიწყეს განზე ქროლა,
ღმერთმა მტერსაც ააშოროს
მსგავსთა მისთა აზლოს ყოლა·
აქ დავტოვოთ პირველ მხარე,
მეორეზე მოვიაროთ
ეგებ ვპოვოთ უამესი,
და არა ჰქნა არ დაფაროო.
ხუთ-მეტ წელზე მეტი არი
რაც რომ ეგა დაარსეს,
ხალხის ფული მოაგროვეს
,,ბანკიაო'' სახელ დასდვეს;
რამდენიმე მეთაური
აირჩიეს ჩააბარეს
და მას აქეთ კი ხმარობენ
როგორც უნდათ იმა ფარებს.
დიდის ამბით გადასწყვიტეს
და დაიწყეს პარკის ყიდვა:
მით ხალხს უნდა ესარგებლა
მოქიშპეთა მოერიდვა,
და თუ ბევრს არ მოიგებდა
აღარ ქონდათ ამის დავა,
მხოლოდ ხალხის დასახმარად
მეტ ფასობა ბანკს ეთავა.
„მაგრამ გადგა განზე ბანკი
არ ქნა ერთი დანაპირი,
თვით დაიწყო ხალხის ყვლეფა,
ესდენ გაიშავა პირი.
მომატება რას გვიქვია
რაცა იყო ისიც არა,
მაზანდით რაც შეიძინა
მათაც ველარ მისცეს ფარა.
ზოგს ნისიათ გამოართვა
„მაზანდობა არ იკმარა",
და მევალე ხალხის გროვა
დადის ბანკში წარა-მარა.
მიხვალ მოსთხოვ და გეტყვიან
შემოდიო დღეს ან ხვალა,
ვიდრე ცუდა სიარულით
არ გაქრება ფეხში ძალა!
ერთიცა მყავს დარჩენილი
კვლავ უნდა გავბეროო სტვირი,
აფთიაქის მოხელეა

ცხადათ უჩანს შავი პირი,
წამალს ფასი მოუმატა
გაგვიხადა ერთობ ძვირი,
ზურგის უკან ასე ამბობს:
„დაგერიათ შავი ჭირი“.

**ნახურისპირელი.**



## ფოთის „გმირები“.

ორია, ორივ ბანოვანთ
თავდადებულნი მდევარნი,
სწრაფად იჭერენ ვით კურდღელს
დუარსაბისა მწევარი.
გარემოება ხელს უწყობს
ბდომათაცა აქვთ ქანქარი,
თუ მეტის მეტი სიხარბით,
არ აერიათ დავთარი.

### მოხსენება № 1.

ძმაო ეშმაკო! ჟამსა განმავლობაში ენა ჩემი სდუმდა და ფურცლებზე „მათრახისა“ მოხსენება ჩემი არ ჩნდა. ეს იმას არ ნიშნავს რომ დიდებულ ბაყაყეთში სამათრახონი არ იყვნენ. პოი, ეშმაკჯან, მაპატიე, დუმილი ეს ხანგრძლივი ბაყაყეთის სამეფო სდულს და გადმოდუღს სიცხისაგან. სიცხემ დასჭირა შეგვიშფოთოს „მოღვაწენი“ ბაყაყეთისანი. ენა გადმოვარდნილი დაყიალობენ ისინი ბულვარ-„მოლზე“, გბენენ ერთმანეთს, ჭორიკანობენ და ხანდისხან ურთიერთს მადიანათაც ამასხებენ.

ბევრია, ბევრი გვამია ეშმაკო, შენი ყურადღების ღირსი, მაგრამ მეშინია, ვაჰ, თუ ყველას ვერ აუხვიდე. ამიტომ ვეცდები პორციობით მოგართვა მოხსენებისა ჩემისა გმირნი.

სახელგანთქმულ პიტერი, ძმაო ეშმაკჯან, მით არის დიდებული, რომ თუ სადმე შეხვდე, ყველას აქ გვიგზავნის. პო სახელგანთქმულ პიტერიდან გვიფეშქაშა კაცი ვინმე მეტად ფუფქი, მეტად ახმახი, Голендеръ ათ წოდებული (იშვიათი ტიპი ზოოლოგიურ მშვენიერებისა) რომელსაც დააკისრეს მეტად მძიმე სამსახური Азово-Донской ბანკში თავმჯდომარეთ ე. ი. კლიენტების დედმამის შეკურთხება, ნემეცურად დასისტიქინება, კომერციულად ჭორიკანობა და ვექსილების ოპერაციების ნაცვლად ბანკის დარბაზში შამპანიურის მირთმევა, არა მარტოდ, არამედ რომელიმე „კურტიზანკასთან“.

„Бѣлый медвѣдь“-ი (აღნიშნული გვამის მეტი სახელია) პირნათლად ასრულებს თავის თანამდებობას და მთელ ბაყაყეთში არ მოიპოება არც ერთი გვამი რომელიც „Бѣлый медвѣдь“-ს პატივს არ სცემდეს.

თავის უხეშ „დათვურ თათებით“ წვდა თითქმის ყველა საზოგადო დაწესებულებებს და გახდა თორმეტ სართულიან ტიტულით აღჭურვილი თავმჯდომარე: Председатель азово-донскаго банка, председатель пом. биржеваго комитета, пред. правленія публичной библіотеки, пред. добровольнаго пожарнаго общества, (онъ-же «пожарный коммергеръ двора рестевскаго причала)» და სხვა სხვა. ხუმრობა არ გეგონოთ ყველგან ზრედსედატელობა! Биржевой комитетს г. Голлендер-მა მადიარდობით შესძინა, ე. ი. არც კი გაუგია სად და როდის დაარსდა საზოგადოება ესე და რაა დანიშნულება მისი. Публичная библіотека-ს ახალი შენობა აუგო საკუთარის ხარჯით, ე, ი. თავის დღეში არც ერთ კრებას არ დასწრია და არც ერთი ქანქარი სამი წლის განმავლობაში საწევრო ფული არ გადაუხდია. Пожарная команда ს „Пожарный коммергеръ-მა სულ ცეცხლი გაუჩინა, ისე დაატრიალა მისი საქმე, ე. ი. ყოველ „пожар-“ზე (ეს ხომ ხშირი მოვლენაა აქ) სადაც (ბოროტი ენები ამბობდენ сражался за зеленымъ столомъ въ инкорпорумъ съ m—me К.) სადაც იკარგებოდა, პოლიცია და ხალხი დაეძებდა, მაგრამ ამაოდ ვერსად პოულობდენ. სახლის პატრონები მეტად ჯავრობდენ, ამბობდენ: „ეგ მუდრეკი სადა გდია, ესსადათ მაინც მოსულიყო, თორემ ჩვენ ხ/რიკებს გაგვიგებენ და „და სტრახის ფულს ვერ ავიღებთ და ჩვენც დაგვეკარგა და მასაც процентеби-“ო.

ამ დღეებში რომ საჯაყი საქმე არ მოსვლოდათ, пожарный комергеръ-ის ბედს ძაღლი არ დაყეფდა.

კეთილ სტუმარს ფოთელები სულით და გულით მიეგებენ და სამხედრო გემზე მიაცილეს. ჯერ გემი არ გასულიყო. მისი ელექტრონის სხივები აშუქებდენ „Южный молъ-“ს (ეს ბნელი კუთხეა ფოთის პორტში „გრძნობათა დამამშვიდებელი) ელექტრონის სინათლეზე სტუმრის თვალს მოხვდა მეტად ულამაზო სურათი „Пожарный Коммергеръ“-ი . . .

. . . . . . . . .

. . . . . . . . .

. . . . . . სტუმარმა გამომშვიდობების დროს მადლობა უძღვნა ფოთელებს პატივის ცემისთვის, მაგრამ (როგორც ამბობენ) განსაკუთრებული მადლობა „За живую картину“, ფოთი ყველაფრით შემკული ყოფილაო“.

„Пожарный Коммергеръ“ მხოლოდ მელოტის გადაეკიდა. მელოტის დაპყრობილი აქვს „ბანო-

ვანთა სამეფო'' და რა გაიგო ვიდაც მეტოქე გასჩენია; გარგათ მიზიდა ,,Пожарის კომერგერი''.

ახლო მომავალში აქ სენსაციური დრამა დატრიალდება; ,,Пожарный Коммергъ-ერი და მელოტი სისხლს დაღვრიან ურთიერთი'ა, მაგრამ მაინც საჭი თა მათი ,,ჩამათრახებაʻʻ ძმათ უმმაკო წაგვიხატე ფურცლებზე ,,მათრახისაʻʻ დიად მოღვაწის ,,Пожарный Коммергеръ-ის ფათრეთი და მით დაგვავალე ფოთელები· შემდეგ მოევლინე მათრახით მგვეთრით და აუმაზოლე ზურგი Голлендер-სა და მელოტს: არ მოერიდო იცოდე, ამ ,,Общественный дѣятел-''ებს.

ჭირმა დალუშა ქვეყანა
გააპირუტყვა ხალხია,
და მეც ვიძახი: ჩაქოჩრეთ!
მათზე ახია, ახია.
მათებრი ვაჟბატონები,
სწორეთ რომ გასალახია.

შემდეგ მოხსენებამდის.

შენი ძმა ,,უბედურება''

---

# ქეშთი ბურჯუაძეს.

(იმერეთის ცხოვრებიდან)

(სცენა პირველი მოქმედებისა))

**გამოსვლა VI**

**(პავლე და მიხეილი)**

**მიხ.** უჰ! პა...პა...პა! გეიბერა ყმაწვილი გულზე... შავბუღლე არ მომითხარო...

**პავლ.** ხა... ხა... ხა... ხახვს გადაგაჭრის თავზე, ხახვს... ანათლებს ხალხს რაღა!..

**მიხ** აბა! ამ სახე ძაღლს ჯიბეში ხინკი არ მოეძევება და ივანიკა ჩემი სახლიკაციზა გაზეთებს ყიდულობს! არ გეეცინება ღმერთს? დაუსწავლია ორი ანბანი და ქვეყანას გადაატრიალებს გონია.. და მე რო მაგისთანა გუდამშიერები ბიჭებათ მყავს, ის კი არ იცის!..

**პავლ.** ხა... ხა.. ხა!.. მამა ნუ წამიწყვდება, მამა... მართალია...

**მიხ.** გეიკეთებენ კისერში კარდონებს ეს ნასთავლები და თავი დიდი ვინმე გონიათ...

**პავლ.** აბა! კაცო, მას ის გაზეთები თავისთვის უნდა, იცი? მის მეტი ვინ წეიკითხავს აქ? მას ფული არა აქ და სხვის ჩოთქზე უნდა გამევიდეს... მამა ნუ წამიწყდება...

**მიხ.** აბა რავა გგონია შენ? არა, როგორ ყოყოჩობს! ასე კიდო ჩემი ბიძაშვილი როა! ნასთავლი ვარო და საქმეშია, მარა ის კი არ იცის, რო მე შაურათაც არ ვიყიდი მის კაცობას... ჩემთან აბზეკს კუდს, მე კი შვამდი ვერ მომწვდება. თუ იგი კაი ბიჭი იყოს, მამა მისს სიღარიბიდან გამეიყვანდა... ყოველ წამს ენაზე საქვეყნო საქმეები აკერია... მუშა ხალხი!.. მუშათა პარტია!.. იძახის და ქოხ'ში კი ცხოვრობს... მამა მისი მის დღეში მიწას თოხნის... არა! მაგას რო სახლ-კარი აქვს, იმაში პატიოსანი კაცი შევა?

**პავლ.** ოხ, შენი ჭირიმე მიხეილ, ჭკვიანი კაცი რო ხარ და მართალი გიყვარს... მამა ნუ წამიწყვდება, რაც თქვი, მარგალიტია. გაზარდა იმ კაცმა შვილები, დაადნა თავზე და არც ერთი არ გამოადგა ერთი ხო ხედავ, რავა დეიარება და მეორეს ხო უკრეს თავი ვირის აბანოში ენის ტლიკინისთვის, პლორეტალებისთვის!..

**მიხ.** კი! ნახა სანახავი... მამაჩემს ჩემზე ერთი კაპეიკიც არ დოუხარჯავს, მარა ჩემი ბიჭობით კაცში ვურევივარ, მეც სული მიდგია. პირველათ რო ქიათურაში ჩევედი, თითის სიგრძე ბაყვი ვიყავი... ხან ვჩალანდრობდი, ხან რაღაცებს ვიღლიტებოდი... მერე „ვესოვჩიკობა“ ვიშოვე, იქიდან გავვითარდი კაცი, გევიგე წყალი და ღვინო და დღეს დაუმადლებელ პურს ვჭამ... შიმშილიც ბევრი მინახავს, წყურვილიც, სიტიტვლეც, გალახვაც, შეურაცყოფაც, მარა მე მაინც ჩემი ვქენი. ის კი იპრანჭება, ყოველ კვირას იჩეშთება, საცვლებს იცვლის, წმინდათ წვება და ასე კი ფული არ იშოვება... არ შეინახება ძმაო... ტილები უნდა ჭამდეს და ფულს მაშინ იშოვნის...

**პავლ.** აბა რავა უნდა! ფოლადიანი კაცი ხარ-ფოლადიანი, შენი ღმერთის ჭირიმე... ფულის გულიზა კაცი ტრუბაში უნდა გაძვრე, იცი?.

**გამოსვლა VII**

(იგინივე და ეფემია)

**ეფემ.** უი, ჩემი სიკვტილი ახლავე, რავა მარტვე არიენ! ბერიკაცო, რაა შენ რო მოჯდომიხარ ამ კაცს და ულამებ გულს? ვერ შემოიყვან ჩიტოს? ახალგაზრდებია, იმხიარულებენ. (**სიცილით ესალმება მიხეილს**).

**მიხ.** მართალს ბრძანებთ... მართალს... (იცინიან).

**პავლ.** მართლა? მორცხვია მისი ჭირიმე და ეხლავე შემოვიყვან... (**მიდის და ისევ მალე შემოდის**) რო არ შემომყვა ის გასახარებელი! აქ კაი ჰაერიაო, ბალკონში, და მიხეილიც აქ გამობრძანდესო... ვიმუსაიფებთო...

**მიხ.** კი ბატონო... დიდის სიამოვნებით... (**გადის**).

**გამოსვლა VIII**

**(პავლე და ეფემია)**

**პავლ.** აი ჩემო, ეფემო! ხო მოვაგვარე საქმე?

მამა ნუ წამიწყვდება! ხო ვარგებულა პავლე სამარაძე კაცად? ხო მოვაყოლეთ ბადეში? ა? დედაკაცო!

**ეფემ.** შენ გააკეთე გამომცხვარი მჭადი! ეგ ჩემი ლამაზი შვილის საქმეა, თვარა შენ რას იზამდი?

**პავლ.** უკაცრავათ! შენ და შენი შვილი ხო გახსოვს რა უარზე იყავით, ცხვირს აბზუებდით... მარა მე დავიჯინე ეს და კიდეც ავასრულე!.. გახლავარ ეს ბიჭი! ძაან ეხრუკებოდა ის უჩიტლუკა, მარა ავაკარით ეეშთი... ახლაც აქ იყო და ისე შეახურა ჩვენმა მიხეილმა, რო შენგან მოწონებული...

**ეფემ.** რა უნდა მართლა ყოველ დღე რო დეიარება ის საწყალი! არ ეღირსება მას ჩემი სიძობა...

**პავლ.** არა, მამანუწამიწყდება, ნათქვამი როა: ვინც ყოფილა ის იქნებაო, სწორეთ მართალია. იყო ნასახელევი მიხეილ სამარაძე და იქნება სახელ-განთქმული მიხეილ სამარაძე. მე შენ გეტყვი აკლია რამე: სახლი, კარი, სილამაზე, ვაჟკაცობა, მიწა, წყალი, ფული, სიძე... შვილი!.. ეფ! მოდი ჩემო ეფენო, ამ გახარებულ გულზე ერთი ჩაგკოცნო! (მიიწევს).

**ეფემ.** ვა, შე უბედურო, რავა ბებერი ხარივით გაგიხიცინებს ხანდიხან გულში...

**პავლ.** რავა? რაში მეტყობა სიბერე? მაშინ მოგიკვდეს პავლე სამარაძე, რომ... (კოცნის, ეფემიას უპასუხებს) აა, მოდი გუნებაზე... (იცინიან).

**ეფემ.** ვახ, გაგისქდა მიწა შენ! (პაუზა) კაცო, სულ კი ნუ ვიმასხრებთ, იმ კაცს ბარემ მოელაპარაკე უკანასკნელათ და ჯვარის წერის დღე დავნიშნოთ... მოვრჩეთ ბარემ საქმეს... ცოდვა არიან, შეახმენ ერთმანეთს ახალგაზრდები... ხო ხედავ, როგორ გახდა ჩიტო...

**პავლ.** კი, კი, უნდა ვიჩქაროთ...

### გამოსვლა IX

(იგინივე და ჩიტირეკია)

**ჩიტირ.** (შემოიპარება ორ აზროვანი დრეჭით) ქალბატონო, ქალბატონო! ნეტავი ერთი შენი კარქა ყოფნიყო შეგახედია, რავა ტრედებივით ღუღუნობენ ჩიტო და მიხეილი...

**ეფემ.** ა? მუსაიფობენ? ჩიტოც ელაპარაკება?

**ჩიტირ.** და მერე რავა!.. სულ თაფლივით... შაქარივით!..

**ეფემ.** რა სიტყვები უთხრა, თუ გეიგონე?

**ჩიტირ.** რავა არ გევიგონე ბატონო... მიყვარხარო! სულში, გულში ჩაგეხუტებიო...

**ეფემ.** გაჩუმდი, გაჩუმდი შე ცრუო! მაგას რავა ეტყოდა ჩემი ჩიტო?..

**ჩიტ.** ბატონო, მე გევიგონე და არ ეტყოდაო რას ქვია?

**პავლ.** მიხეილი რას ეუნებოდა, ბიჭო?

**ჩიტირ.** დნებოდა, რავაც გენახოს დინდგილა! უხ, დედა, რაფერ უყვარიენ ერთმანეთი! იღბალი ქონია, იღბალი ჩიტულიას ქალბატონო...

**პავლ.** აბა რავა გეგონა მენ?

**ჩიტ.** დედა, რა ფულის პატრონს ამბობენ მერე? ნამდვილი ბურჯუაძეაო, თელი სოფელი ასე უძახის...

**პავლ.** ხო დაუყენე ჩემს მეზობლებს და მტრებს თვალები! იძახოდენ, დალარიბდა პავლეო, მარა ახლა ხო გამოვჭიმე თვალები...

**ჩიტირ.** ყველას ნერწყვი აქ გამშრალი, ყველას. მე ვიძახი ასეა საქმე, ისეა, ჯვარის წერა ამ დღესაათქვა და იშხამებიენ, იხოცებიენ დარდით...

**ეფემ.** ასე, ასე ჩემო ჩიტირეკო! სულ გულზე გაასივე ყველა, ალიზიანე! ეთი უნდა გენახა, ჩემო კაცო, გუშინ რა შურით მეკითხებოდენ მეზობლის ქალები: ჯვარს როდის იწერსო... დანა რო კრათ, სისხლი არ გამოუვათ...

**ჩიტ.** ბარიშნები ხო სულ დაძმარდენ და ისაა. იძახიენ, რა ბიჭი ჩეიგდო ხელში ჩიტომო, მევუთხარი: აბა რავა გეგონათ თქვენ, ნასთავლი ქალიათქვა...

**პავლ.** მაგრე, მაგრე, ჩემო ჩიტირეკო, დაამჟავე ყველა!

**ეფემ.** გევიდეთ ახლა, ასე მიტოვება არ ვარგა. (გადიან).

### გამოსვლა X

(ჩიტირეკია, მარტო)

**ჩიტირ.** პა, პა, პა! რამდონი ძაღლის თავია აქანე დამარხული! ერთს ძალიანს მიმდრეკენ, მარა რა გეიწყობა, მაგის რჯულიც არ იყო... ათანასეს გულიზა ცეცხლში ჩავდგები.. იმან შემაგნებია მე ჭკუა... რაც მოხდეს, სოფელს გადახდეს... ხო მოვჭრით თავს საქვეყნოთ ბურჯუაძეს... ფულებსაც ოხრათ მაძლევს... რა მენაღვლება: არა, აგენისთანა მამაძაღლი ხალხი მე მეორე არ მინახავს! ჯერ იყო და ათანასეს აძლევდენ, იპატიჟებდენ სახში, ერთი, მეორე და ახლა ამ ბურჯუაძეს გადეეკიდენ... მარა ძაღლის თავიც აქაა.. ჰმ... რო იცოდეს, რო იცოდეს!.. (პაუზა) ეხ, ჯანდაბას იმათი თავი! რაღას დავეძებ იმათ! ერთი ჩემი შიშტიბუქა მომცა აქ თვარა, არაფელი არ მინდა... ერთი ჩავეწმაწნო უსურ ვაზის წნელივით... ლოთიანათ კი გვიყვარს ერთმანეთი ღმერთწინაშე... ხანდიხან ისე გემოიანათ მაკოცებს, რომ სულ ამაცლის, თუ რამე სიმბილე მაქ ლოყებზე, მარა მეც

თუ სადმე მოვასწარი და დავავლე ხელი, სულ ვაკვინტრიშებ... (პაუზა) ახლა წავალ, თვარა თუ შემომისწრო ხაზეინმა, ბარე ორს მიბინიკებს გვერდებში და მერე ატვეჩაი ჩიტირეკია... (გადის).

**გამოსვლა XI**

(მიხეილი მარტო)

**მიხ**. საქმეშია ერთი ესეც! წერილებს მწერს იმისთანას, რო ქკუაზე შევშლის კაცს და ახლოს კი არ მიკარებს! ბიჭოს! ამდენი ხანია ქალს დავსდევ, ამიბნია აზრები, ვერაფერს გულს ვერ ვუდებ, ვერსად ვერ წავედი და არ იქნა და ერთიც რო არ მაკოცნია... ტყვილა ერთხელ ხელი მომეხვია და მეტი არ მინდოდა არაფერი! დასწყევლოს ღმერთმა, ეს ბებრებიც რო კუდში დამსდევენ. (პაუზა) ისევ ამ ჩიტირეკია ბიჭს უნდა შევეხვეწო და როცა მარტო იქნება ჩიტო სახლში, შემატყობინოს და მაშინ მაინც გავხდები რასმეს.. თვარა შენი მტერია მე დღე მადგია. (პაუზა) მაშ ვირთავ, ლოთიან მზითებსაც ავიღებ მამამისიდან... იმ დიდი ადგილიდან ავბარგავ, იძახის იმის მეტი არაფერი დამრჩა, ისაა ჩემი იმედიო, მარა რა მენაღვლება, თუ კი დევითრიე... (დადის) უნდა მალე მოველაპარაკო მზითებზე და გავათავებ კიდეც საქმეს... რამდენი ხანია, რო ასე დიდი ხნით სოფელში არ დავრჩენილვარ... ისე შემაყვარა აქაურობა, რო ფეხი ვერ მომიცვლია... მთელმა ქვეყანამაც რო გეიგო: ქუთაისში, თბილისში, ქიათურაში, ყველგან გაუგიათ ჩემს მეგობრებს... ქალი შეუყვარდა და ირთავსო... ღვთის წინაშე ან კი რაა დასამალავი! მე შენ გეტყვი, აბრეშუმივით ქალი არ ჩევიგდე ხელში! ვინმე გამცინებს თუ! იფ! რა კოხტაა, რა გაფუნთულებულია! დედისა ბიჭო! ვინ თქვა, რო მიხეილს გემო არა აქვსო?!.

**გამოსვლა XII**

(მიხეილი და ჩიტუნა)

**მიხ**. (რა დაინახავს ჩიტუნიას, დნება მეტის დმობიერებით და ვნებათა ღელვით) ჩიტუნია! ჩემო ღვთაებავ! ჩემო ხელმწიფევ, ჩემო ღმერთო! შედი ჩემს მდგომარეობაში, შემიბრალე, შემიცოდე! (ელრიჯება).

**ჩიტ**. მე თქვენისთანა ადამიანი ჩემს დღეში არ მინახავს! რას გავს თქვენი საქციელი? რის მომასწავებელია?!

**მიხ**. (დრეჯით) მაპატიეთ თუ გლახათ გექცევით, მარა თქვენც შედით ჩემს მდგომარეობაში... მეც კაცი ვარ...

**ჩიტ**. (გაკაპასებული) თქვენ ბ. მიხეილ ძალიან უზრდელად იქცევით... დიახ!.. მე!..

**მიხ**. (იჩოქებს) რა ვქნა... სიყვარული...

**ჩიტ**. რაო?! სიყვარული? განა თქვენ შეგიძლიათ ადამიანის სიყვარული? გესმისთ რა არის ეს დიადი კრძნობა! თქვენ ღირსი ხართ რო წარმოსთქვათ მაგ სიტყვა? არა და ათასჯერ არა! თქვენ აქ მხეცური გრძნობები გალაპარაკებსთ და არა სხვა რამე!.. რას ეპოტინებით გათხუპვნილის ხელით დიად გრძნობას?! რა უნდათ შენისთანებს იმ ტაძარში, სადაც სიყვარულის ხატი ასვენია?!

**მიხ**. (მიიწევს უცებ მოსახვევათ) გეფიცებით....

**ჩიტ**. ეს რა გარყვნილი რამაა! რა უნდა ამას ჩვენს ოჯახში?! (გაექცევა, მიხეილიც მისდევს).

**გამოსვლა XIII**

(მასწავლებელი და შემდეგ ჩიტუნია)

**მასწავლ**. ღმერთო ჩემო, რა ატმოსფერაა აქ? რა ჰაერია ამ ოჯახში! თითქმის ყველაფერს თაღლითობის, ორჭოფობის და თითქმის გარყვნილების ბეჭედიც კი აზის! . სინიდისი, პატიოსნება, წმიდა გრძნობა, ყველაფერი სასაცილოთ გაუხდიათ, ერთის მეტს... ფული, ანგარება! აი რა ასულდგმულებს აქაურობას! (პაუზა) ან კიდევ ეს ვაჟბატონი თავის მტაცებლურის ინსტიქტებით! ვინ იყო ის ერთ დღეს? არაფერი. დღეს კი რაა? ყველაფერი. ერთ დროს მთელ სოფელს სასაცილოთაც კი ჰყავდა აგდებული თავის ქარაფშუტობისათვის და უტვინობისათვის, მარა დღეს კი უჭკვიანეს კაცად მოაქვს თავი და გასავალიც აქვს, განსაკუთრებით ისეთ ვაჟბატონებში, როგორიც პავლე სამარაძეა.. და ყველაფერი ეს შეძლო ფულმა და ეს მტაცებელი ცხოველი, ადამიანის სახით, დღეს მაღლობიდან დაყურებს თავისივე მოძმე სოფლელებს...

**ჩიტუნ**. (შემოდის) ოჰ, გენაცვალე, შენ აქა ხარ? (ჩაკოცნიან ერთმანეთს).

**მასწ**. რისთვის ღელავ, რა იყო?

**ჩიტ**. (დაბნეული) არაფერი... ისე... კიბეზე ამოვირბინე და...

**მასწ**. დაჯექი (ჯდებიან ხელმოხვეულნი) როგორ მოგწონს შენი მშობლების ქცევა?

**ჩიტ**. ნუ გამახსენებ თუ გიყვარდე, მე თვითონ ვხედავ...

**მასწ**. კი ხედავ, მარა თუ გაქვს გათვალისწინებული მთელი ის გარყვნილება, რაც აქ...

**ჩიტ**. (შეწუხებული) კაი გენაცვალე! ვიცი, ვიცი! ყველაფერი ვიცი (ხმაურობა ისმის, ჩიტო დაშინებული დგება და კარებისკენ მიდის) მოდის მგონი ის მხეცი... მოდის...

**მასწ**. ვინ? ვინ უნდა მოვიდეს?

**ჩიტ**. არავინ... ისე...

**მასწ**. მითხარი ადამიანო, რაშია საქმე? რამ შეგაშინა?!

**ჩიტ.** არ შემიძლია! არა!..

**მასწ.** ვისთან? ჩემთან არ შეგიძლია? ჩემთან?! ეს რა მესმის?!.

**ჩიტ.** არა... არა... მაცალე...

**მასწ.** შენ თვალთმაქცობ აქ რაღაცას!..

**ჩიტ.** არ გრცხვენია მაგ სიტყვებისთვის?!

**გამოსვლა XIV**

(იგინივე, პავლე, მიხეილი და ეფემია)

**პავლ.** (რა დაინახავს მასწავლებელს, საშინლათ მოიღუშება და ყურადღებას არ აქცევს. შემდეგ მოკიდებს ჩიტოს მხრებში ხელს და წინ წამოიყვანს). შვილო, სულ მასხრობა გვეყოფა! არც ბავშვი ხარ აწი, შენს თავს უნდა ეწიო, შენი საკადრისი საქმრო უნდა მოინახო, (მასწავლებელს გადახედავს) წაჩურჩულ-წამოჩურჩულების თავი დაანებე... და ნურც ნურავინ გაცდენს და ტყვილა იმედებითაც თავს ნუ იტყუებს! (გადახედავს კიდევ მასწავლებელს) დიახ... ყველამ უნდა ეძებოს თავის შესადარი... მამა ნუ წამიწყდება...

**ეფემ.** (ისიც ირონიულათ და მედიდურათ) მართალია თქვენ ნუ მომიკვტებით! ჩემს ჩიტოს ზოგიერთ გაფხეკილების ცოლობა დიახაც რო არ ეკადრება... ეს ყველამ უნდა იცოდეს!..

**მასწ.** (ზიზღით) უკაცრავად, მე მგონი ხელს გიშლით... (გადის).

**გამოსვლა XV**

(იგინივე, გარდა მასწავლებლისა)

**პავლე.** წავიდა! ვინ ეხვეწება აქ მოსვლას რო არ ვიცი! შენ შვილო, ჭკუით იყავი, არ შემარცხვინო, აი მიხეილს მოწონხარ და კიდეც უყვარხარ... ჩვენ გადაწყვეტილიც გვაქვს საქმე! (ჩიტუდია შეკრთება) რა იყო? მზითევშიც მოვრიგდით... შენ მიხეილის ცოლი უნდა გახდე...

**ჩიტ.** (გაუსხლტება) მამა, ხომ არ შეშლილხართ.. (მიხეილი სიამოვნებით იღრჭუვავს).

**პავლ.** შვილო, ნუ გვიმალავ, კმარა. ისიც ვიცით, რომ შენც გიყვარს...

**ჩიტ.** მამა...

**ეფემ.** (მიხეილს) დედა, რა მორცხვია მისი ჭირიმე! ვერ ბედავს პირდაპირ თქმას!.. (მიხეილიც ემოწმება).

**პავლ.** ენათქო, კრინტი!.. მე ყველაფერი ვიცი!..

**მიხ.** დიახ... ჩვენ... ჩვენ გვიყვარს ერთმანერთი და... მმმ...

**ჩიტ.** ეს რა მესმის?!

**ეფემ.** რაა შვილო? გაგვიჭირე საქმე! ჩვენ კი არ ვმასხრობთ. შენმა მშობლებმა გავიგეთ, რო თქვენ ერთმანეთი გიყვართ და გავათავეთ საქმეც!.. აგისრულეთ წადილი...

**მიხ.** დიახ... დიახ... გავათავეთ...

**ჩიტ.** ვინ მიყვარს მე? ესა?

**მიხ.** დიახ, გიყვარვართ... წერილებიც...

**ჩიტ.** თქვენ შეშლილი ხართ!..

**ეფემ.** აა, შე ეშმაკო შენ... ჩვენი გცხვენია?..

**პავლ.** ეხ, კაი ახლა შვილო, ნუ მასხრობ!..

**მიხ.** მმმ... ჩვენ ერთმანეთი...

**ეფემ.** მართალია, მართალი... ვიცით.—ვიცით. (კიდებს ორთავეს ხელებს) გაკურთხოს... გაბედნიეროსთ...

**პავლ.** დაგლოცოთ შვილებო...

**ჩიტ** (გაუსხლტება) ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია? რაშია საქმე? მშობლებს კიდეც გავუყიდივარ... (მიხეილს) საძაგელო მსუნაგო!.. ის დღე არ მოგესწრება შენ, მე რომ შენი ვიყო. (გადის. ყველანი გაკვირვებული არიან).

ფ ა რ დ ა

## წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო რედაქტორო! „მათრახის“ მე-5 ნომერში ვიღაც „ნ. ორაგვისპირელი“ მწამებს, თითქო მე, „როგორც ანეტოს დამცველი“, ძალიან გაჯავრებული ვიყო და ჩემი (კირილე ქყონიას) მეთაურობით ხაზეინებმა დაადგინეს, რომ მეორეჯერ არ გამედონ ანეტოს გაზეთში ჩაგდება და სხვა. სიმართლის აღსადგენათ ნ. ორაგვისპირელს ვიწვევ სამედიატორო სამართალში და ვაძლევ წინადადებას, დღიდან ამ წერილის დასტამბვისა, ერთი კვირის ვადაში გამოაცხადოს პასუხი და თავის მედიატორეები. ჩემი მხრით მედიატორეებათ ვასახელებ ბბ. ვიქტორ და ნიკო ღლონტებს. დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი ნ. ორაგვისპირელი არ გაექცევა სამედიატორო სამართალს.

კირილე ქყონია.

---

ბ-ნო რედაქტორო! „მათრახ-სალამურის“ მეხუთე ნომერში ბ. „პატარა ზიკმა“ წერილი მოათავსა, სადაც ის მეხება და მლანძღავს; მასთან მერვე ნომერში ავრცელებს სამწუხარო ხმებს ჩემზე. რომელიც მე ჯერ არ დამიმსახურებია. სიმართლის აღსადგენათ ვიწვევ მას სამედიატორო სამართალში. ვადას ვაძლევ 15 დღისას დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა. მედიატორეებათ ვასახელებ ექიმ ილ. ჯაშს და პორფილე ქეიშვილს.

კოწია კიკაჩეიშვილი.

---

ბ-ნო რედაქტორო! ჟურნალ „მათრახ-სალამურის“ მერვე ნომერში ამბაკო მაღულარია სამედიატორო სამართალში მიწვევს ჩემ მიერ მოთავსებულ წერილის გამო. მზათ ვარ ბ-ნო ამბაკო, გამოგყვეთ სამედიატორო სამართალში და საქვეყნოთ დაგიმტკიცოთ, არა თუ ის, რასაც ჩემ წერილში ვამბობდი თქვენს შესახებ, არამედ მეტიც, თუ კი საჭირო იქნება. ჩემის მხრით მედიატორეთ ვასახელებ ამხ. „კოლიას“. გაძლევთ წინადადებას, თქვენც დაასახელოთ მედიატორე, განაჩენი აუცილებლათ ერთ-ერთ ქართულ გაზეთში უნდა იქნას გამოცხადებული.

კასოი.



# წერილები ეშმაკისადმი

**დ. ჩოხატაური**—მიუხედავათ ბოქაულის მიერ მიღებულ ზომების, ჩვენი დაბა ისევ სიბინძურის მორევშია ჩაფლული. თუმცა ბოქაულის მუშტების ზეგავლენით დუქნების წინ ხეები დაურგავთ, ქუჩა მოუკენჭავთ და შეუსწორებიათ, მაგრამ მაინც ულაზათო სახე ადევს ყველაფერს. სამაგიეროთ თქვენ ყურებს დაატკბობს ყოველ დღე „ჰარი არალოს და ვაი უის.“ ღრიალი. სამიკიტნოებს კარგი ვაჭრობა აქვთ. საჭიროა მოაშველოთ ბოქაულს თქვენი მათრახი, თორემ თავისი გაუცვთა და აქაურების გამოფხიზლებას არაფერი ეშველა.

მგზავრი.

—

**ქ. თელავი.**

აქ უკვე გაიხსნა კლასიკური გიმნაზია განსვენებულ „გუდა მიროს“ სახელობაზე. ჯერ-ჯერობით გახსნეს სამი განყოფილება. სწავლა დიდი ხანია დაიწყო. აღმზრდელებათ მოიწვიეს ვანო და სისიკაანთ ზეკვალიონი. ასწავლიან ბილიარდზე თამაშს, ღამე რევოლვერის სროლას, კახურ მრავალ ჟამიერს, დაუსრულებელ ლანძღვა გინებას, ჩხუბს და ცოტა ღვინის სმასაც. ექსკურსიებს ხელმძღვანელობს გამოჩენილი პროფესორი „კურმანიკი“. ინსპექტორათ მოწვეულია „არლანჩიკი“ იასე, მხოლოდ დირექტორათ ნერსესა.

დაიწყო ლექციების კითხვა ნადიკვარზე, სასაფლაოზე და ბურჯზე. ლექციებს ხალხი ბლომათ ესწრება თავდება ღამის 3 საათზე. ლექტორებათ მოწვეულნი არიან ახლად გამოჩეკილი სტუდენტები. მათ ხელმძღვანელობს გამოცდილი ლექტორი და პრივატ დოცენტი თელავის უნივერსიტეტისა „ჩ–ე მან წაიკითხა ამ დღეებში ლექცია შემდეგ თემაზე: „არშიყობა, როგორც საფუძველი კაცობრიობის აღორძინებისა“.

**დათება.**

—

**ქუთაისი**. ძმაო, ეშმაკო! სწორეთ მოგახსენო, დარწმუნებული ვიყავი, რომ შენს მათრახზე უძლავრესი არაფერი არ იქნებოდა მთელ დედამიწის ზურგზე, მაგრამ მოვსტყუვდი,—არა ნაკლები გამოდგა განთქმული ვექილის **ბარნაბა ლოლაძის** ახალი გამოგონება ეს არის „ბოთლის ბოლო,“ ვინაც დაკრავს მორჩა, დაღს სამუდამოთ დააჩენს, მისთვის სულ ერთია ქალი იქნება თუ კაცი. ამას წინათ პურის ჭამის დროს სპარსელ-ქართველების და მრავალი სხვა პირების თანადასწრებით მან გამოცადა თავისი ახალი გამოგონება. ყოვლად უმიზეზოთ თვალის დახამხამებაში დასცხო ბოთლის ბოლო ბ. ბ—ლს, რამაც დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა აქეთ ყველას პირზე აკერია ლოლაძის „ბოთლის ბოლო.“ შენი მათრახი აღარავის ახსოვს. საჭიროა მოაგონო ლოლაძეს და სხვებსაც შენი მათრახის სიმწვავე და ამიტომ მოგიწვევთ მოიგრაგნოთ ქუთაისად.

ავათმყოფი.

—

**ჭიათურა.** კვლავ გამეფდა ძალზე ცარცვა
კვლავ აცურდა ოფლში მუშა,
წერაქვს ურტყამს თოთხმეტ საათს
რვა საათი ჩაეფუშა!!
კვლავ გაისმის სამღურავი
ვიდაც რაჟდენ მწონელისა,
არ ნახულა თურმე მსგავსი
მატყუარა ხონელისა!!
თუნდ „კონტროლი“ თავზე ადგეს
მაინც „კოხტათ“ მოიპარავს,
გოტრენსაც ხომ ძლიერ უყვარს
ოსტატურათ ხალხს რომ სცარავს!!
მინდა გამცნოთ საქმე „კარგი“
ექსპორტიორთ კრებულისა,
ცხადი „სკიდკის“ დაწესებით
სულით დამდაბლებულისა!!
ას ფუთში რომ ხუთი მოგცეთ
ეს არისო საქმე ჩვენი;
ფიცი დავდეთ შევასრულოთ
ჰა, მოგეცი განაჩენი!
ჩვენ რას დავსდევთ მეურმეებს
ან ჩალვადარს—მუშებსაო,
სულ სხვა დრო გვაქვს, ხელს მოუჭერთ

ვინ რას გაგვიფუჭებსა!..
„ფოდრაჩიკი“ დაბანდული
თავსა ურცხვათ უქანჩალებს,
იცის რომ მას არ აკლდება
ნაცვლათ მუშას გააწვალებს!..
აი ამდროს უფროს ეშმაკს
ვსთხოვ რომ ცოტა მოგვეკმართოს
მტერსა მოსცხოს მათრახები
რომ მან მწარე თვლი დვაროს!.

სკვინჩა.

—

**ხონი.** ძმაო ეშმაკო! როგორც მოგეხსენება, ხონს პირველი ადგილი უჭირავს ვეჩერ-ბალების მართვაში. ამ უკანასკნელათ კი ისე გახშირდა ეს ამბავი, რომ მისაპატიჟებელი ბარათებიც აღარ აუდით და ამიტომ ერთმა გამობრძმედილმა ვეჩერისტკამ კარებზე განცხადებაც კი გამოაკრა: „იმართება სისტემატიურათ ვეჩრები“-ო.

აუტანელი სიცხეების გამო ვაჟრები ერთმანეთს წყალში ყრიან.

აქაურ ნოქართა პროფესიონალურ კავშირის წევრებს გადაუწყვეტიათ: ვინც სავაჭროების წინ გაიარს, „ცხეთური“ გაუკეთონ. ცხეთურს შემდეგს ეძახიან: გაიარ თუ არა ქუჩაში, ერთი ყმაწვილი უკნიდან წამოგეპარება, მეორე კი წინ მოგეგებება. უკნიდან მოპარული მოგაჭრეს თავზე ხელს, მას მეორეც დაეხმარება და „ცხეთურ ცხეთურის“ ძახილით, თუ მაგრა არ დახვდი, თავს ორათ გაგიხეთქენ. ამ უკანასკნელ დროში „ცხეთურს“ ვგონებ უარყოფას უპირებენ, რადგანაც ყველამ გაიგო მისი შინაარსი, ხოლო მის მაგიერ მეორე საქმის შემოღებას აპირებიან. წამოგეპარება ერთი უკანიდან და მოზრდილ ჯოხს ფეხებ შუა გაგიყრის. მას მეორეც დაეხმარება და ასე ჯოხზე შესმულს ან წყლის არხში გადაგაგდებენ, ან და თავდაყირა დაგასობენ მიწაზე.

ანდრო ბახტაძეს თავის წიგნის მაღაზიის ნოქრებთან საქმის გარჩევის გამო დღეში სამი საშედიატორო სასამართლო აქვს.

ამას წინათ ორმა აქაურმა სტუდენტმა მეეტლე გალახეს. სასურველია სხვებმაც წაბაძონ ამ კეთილ საქმეს.

სანიტარული მხრით ქალაქის მდგომარეობა უზრუნველყოფილია, ვინაიდან ხონის საზოგადოება თითონ ასაღებს დღიურათ ათ-თორმეტ ურემ დამპალ საზამთროს, ხოლო თუ რამე დარჩება, იმას ღორები ულევენ ბოლოს.

ძმაო ეშმაკო, მაქვს აგრეთვე პატივი გაუწყო, რომ თეატრის ბილეთების ფასები ერთობ აწიეს და ჩვენი ისედაც თხელი ჯიბე სულ დაიცალა, ან კი ხარიტონა მღვდელი ხომ არ ვართ, ჯიბე დაუცლელი ვიყოთ?

შენი ელგუჯა კრეჭიაშვილი.

**ს. დიდი-ჯიხაიში.** ამ დღეებში აქ მოხდა სამკითხველოს გამგეობის „გაჩოთქვა“. კიდე მეტი ვაქსი დასჭირდა სარევიზიო კომისიას, რომელსაც რევიზია დაეწყებოდა. ბევრი თათბირის შემდეგ გამგეობას სასტიკი პროტესტი გამოეცხადა ასეთი საქმიანობისათვის, ხოლო სარევიზიო კომისია კი ბორჯომში გაამგზავრეს საზაფხულოთ. დღეს კომისიები შავი ჭირივით მოედო ჯიხაიშს. ყველა დაწესებულებებს ყავს თავის გამგეობა, რომლებსაც წლის ბოლოს პროტესტით ისტუმრებენ და შემდეგ სარევიზიო კომისია ენიშნება, საითაც გაიხედავ დღეს, ყველგან კომისია. სამკითხველოს საქმეების გამომკვლევი კომისია, სოფლის კანცელარიის შემოსავალ-გასავალის კომისია, სათადარიგო კაპიტალის ფულის კომისია, სასკოლო კომისია, სათეატრო კომისია, ეკკლესიის ფულის გამწერი კომისია, მომკრეფი კომისია, დამხარჯველი კომისია და ყველა ამას ბოლოს კიდე სარევიზიო კომისია: კომისია და სულ კომისია. ნეტა ვისთვის არის საჭირო ამდენი კომისია? ეშმაკო, ეს შენ გამოიცანი და მათრახიც აამოძრავე.

**ბოგდიხანი.**

—

**სადგური დაბა.** ამ უკანასკნელ ხანებში მდ. „ჩარხის წყალმა“ ძლიერ იკლო. ეს იმით აიხსნება, რომ ცემისა და წალვერის მცხოვრებლებმა მოუხშირეს ამ წყალის რძის მაგივრათ ყიდვა, დაბელებმა და აგრეთვე ცემ-წალვერის მოაგარაკენი პროტესტს აცხადებენ ამა გარემოებისა გამო.

**გ—ლი.**

**ს. წალვერი** (ბორჯ. ხეობა). ძმაო ეშმაკო! რაღა მოგწერო; აქაურ მედუქნეზე—წამალოზე ვერას ვიტყვით, რადგან ის ისეთი „პატიოსანი“ კაცია, რომ დამპალ პატრიჟანს (პამიდორს) „გირვანქას 12 კაპ. თვითონ ყიდულობს“ ბორჯომში, ხოლო აქ მოტანილს კი 10 კაპეიკათ ყიდის. „კარაქსაც“ „გირვანქას 60 კაპ. ყიდულობს“, აქ კი 50 კაპ ყიდის. და ასე, ყველაფერს „იაფათ“ ყიდის, „ვინემ თვითონ ყიდულობს“, რადგან აქაური მოაგარაკენი ხელმოკლე ხალხი არიან და მეტის მიცემას ვერ შეძლებენო. აბა ასეთ „გულ-კეთილ“ გვამს როგორ უნდა შესთავაზოთ თქვენი სპერმაკუდინი?

საყვედური არც აქაურ მეპურეზე—ლებანიძეზე გვეთქმის, რადგან ის ისეთი „კარგი“ თვისების პურს აცხობს, რომ ვინც კი ჭამა, ხელათ მოიმატა 6—7 გირვანქა წონაში.

ამგვარი თვისების პურის „გამოცხობა“ ძვირათ არც ლებანიძეს უჯდება, რადგან მას თონეც ისეთი კარგი თვისების აქვს, რომ ჩააკრავს თუ არა ცომს,—ჯერ არც კი გამშრალა, რომ პური უკვე „გამომცხვარია“ და „გასაყიდლათ მზათ“ არის.

საზოგადოთ, ასეთივე „გულ-კეთილები“ არიან აქაური ვაჭრებიც.

ვუსურვებ მათ თქვენი მათრახის კუდს...

**ახ.—ი.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 8.
რედაქტორ გამომცემელი **მ. ტურაბელიძე.**